ხუთშაბათი, 1918 წ. მკათათვის 4 № 129

წელიწადი მეოთხე

ხუთშაბათი 1918 წ. მკათათვის 4 № 129

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ; რკ. გზის სადგურებზე

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილზე უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უმისამართო გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი ხელნაწერი მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ა ნ ტ ო რ ა

პირველ გვერდზე განცხადების ნონპარელის სტრიქონი ერთი თვით და უფრო მეტი—18 მ. თვეში (ნონპარელის სტრიქონი) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი მეოთხე გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივი განცხადება თითოეული ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. ნეკროლოგი გამოცხადება ღირს ქაღალდზე 1 მან. ქაღალდებით 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა წარმოდგენილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზეთ „საქართველოს“ კანტორა

მოაგონებს პატივცემულ ხელის მომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული (მეორე ნაწილი) არ შემოუტანიათ, 10 ივლისამდე წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.

Georgische Klub

Sonnabend den 7 iuli um 8 nhr Abengs vortrag von Artur Leist. Ueber georgishe Pocsie

Einritt 2 kubel

ქართული კლუბი

შაბათს 7 ივლისს საღამოს 8 საათზე

არტურ ლეისტის ლექცია (გერმანულად)

ქართული პოეზიის შესახებ

შესასვლელი 2 მანეთი

საქართველოს რესპუბლიკის ჯარის გამოკვების საინტენდანტო ნაწილი, სასურსათო საქმის სამინისტროსთან შეთანხმებით, ამით აცხადებს, რომ ჯარისთვის საჭიროა ხორბალი,

ქერი, შვრია, სიმინდი და თივა.

ზემო ჩამოთვლილი სურსათი მიიღება საინტენდანტო სასურსათო საწყობებში და რკინის გზის სადგურებზედ და სახაზინო პუნქტებით, მსურველთ უნდა შემოიტანონ საინტენდანტო ნაწილში განცხადება, სადაც დასახელებული უნდა იყოს რაოდენობა და ფასი სურსათისა, აგრეთვე ადგილი, სადაც ჩააბარებენ სურსათს. მისამართი, ნიკოლოზის ქუჩა № 51 3—3

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ თიბათვის 26—27 მამა ანტონის მარტყოფის მონასტერში ღვთის მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი

კირიონ მეორე.

მისი უწმინდესობის ნეშთი დასვენებულია ანჩისხატის ტაძარში, რომლის კარი დღე და ღამ ღიაა. ყოველ დღე დილის 8 საათზე საეკლესიო წირვაა. პანაშვიდები აგრეთვე ყოველ დღე შუადღის 12 ს. და საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კვირას 7 მკათათვეს სიონის ტაძარში. 4—2

უნუგეშოდ დამწუხრებულნი ივანე როსტომის ძე მიქაძე და მეუღლე მისი ივლითი მახარობლის ასული და შვილები მათი ნიკოლოზი, თამარი, ნინო, გიორგი და ელენე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 მკათათვეს, საღამოს 8 საათზე, გარდაიცვალა პირველთა შვილი და უკანასკნელთა და, ძვირფასი და დაუვიწყარი

მარიამ (მარუსა) ივანეს ასული მიქაძე

პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 ნახევარ საათზე არამიანცის საავადმყოფოს სამლოცველოში, საიდანაც ოთხშაბათს, 3 ივლისს გადასვენებულ იქნება საღამოს 6 საათზე საკუთარ სახლში ([illegible] ქუჩა, № 17). ზეგეც პანაშვიდი. გამოსვენება ხუთშაბათს, 4 ივლისს, სახლიდან წმ. მარინეს ეკლესიაში დილის 9 ნახევარ საათზე. წირვა და დაკრძალვა იმავე დღეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 3—1679—3

ნინო ფირუმოვის ასული, ალექსანდრე, თამარ და ვაკო დავითის ძე და ასულნი ნაცვლიშვილები, ელისაბედ ფირუმოვის ასული ანთაძისა, ვლადიმერ ფირუმოვის ძე წითლიაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორე, მესამე და მეოთხე მამისა, ხოლო დანარჩენები დაუვიწყარი ძმისა

დავით ყარამანის ძე ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 29 თიბათვეს სოფ. მაღაროში. პანაშვიდები ყოველ დღე. დაკრძალვა იქნება 4 ივლისს საგარეჯოს ეკლესიაში. 3—1680—3

მრუდე გზით

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ კურსს სრულიად არ სცვლის ერთი დიქტატორის ნაცვლად მეორის დანიშვნა.

ჩვენი ქვეყანა რევოლუციის პირველ დღიდანვე ერთს გარკვეულ დიქტატურას განიცდის—ეს არის სოციალისტური პარტიების მმართველობა და პერსონალურს ცვლილებებს მთავრობაში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. სოციალისტური პოლიტიკა ყოველდღე მარცხდება.

ეხლა თვით სოციალისტურ წრეებშიც კი ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ ფუჭი იყო ერთი წლის სოციალისტური ვარჯიშობა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება უნდა აშენდეს იმ გზით, როგორიც აუშენებიათ თავისი სახელმწიფო დაწინაურებულ ერებს.

რომ ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, ამას ნათლად ვხედავთ. ამას კარგათ გრძნობენ ჩვენი მთავრობის მეთაურებიც. მაგრამ თავიდანვე მრუდე მიმართულებით დაწყებული საქმე ისევ გრძელდება. ამ ბოლო ხანს სოციალ-დემოკრატიულ გაზეთშიც აღიარეს, რომ მომავალი რევოლუციის შემდგომ სოციალისტური წყობილების დამყარება შეუძლებელია, რომ ეხლა მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაა შესაძლო.

მაგრამ აქედან შესაფერისი დასკვნა მაინც არ გამოუყავთ ჩვენში გაბატონებულ პარტიებს. დემოკრატიულ წყობილების დასამყარებლად საჭიროა ყველა დემოკრატიული ძალების შეკავშირება და არა განთიშვა, როგორც ამას სოციალისტური მთავრობა შვრება. დემოკრატიული წყობილების დასამყარებლად საჭიროა ძლიერი რეგულიარული ჯარის შექმნა, ვინაიდან ამ საშინელ ანარქიას და გარეშე მტერს ვერ გაუმკლავდება უდისციპლინო და მოუწყობელი შეიარაღებული ნაწილები. წესრიგს თუ ვერ აღვადგენთ, ვერ მოვაწყობთ სამართალს, ვერ გავამეფებთ კანონს და ისევ როგორც ეხლა უწესრიგობისა, თვითნებობისა და ძალმომრეობის მორევში დავრჩებით გახვეულნი.

დემოკრატიული წყობილება ყოველივე ამას ჰგულისხმობს და თუ ჩვენი მთავრობა ჰფიქრობს ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დამყარებას, მან უნდა შეჰქმნას ნამდვილი ჯარი, აღადგინოს სასამართლო, მოსპოს თვითნებობა და ძალმომრეობა და ყოველი მოქალაქე გაათანასწოროს კანონის წინაშე.

ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა პოლიტიკურმა მეთაურებმა მრავალი მაგალითი გვიჩვენეს დამამტკიცებლად იმისა, რომ მათ სოციალისტურ ელემენტებს არ შეუძლიათ წესიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამყარება. დუშეთის ამბებმა ეროვნულს საბჭოში შეტანილი შეკითხვა და მთავრობის მეთაურის პასუხი კიდევ ახალი ნათელი მაგალითია სოციალისტური მთავრობის სისუსტისა. რა ხდებოდა და რა ხდება ეხლა დუშეთში, ლეჩხუმში, თიანეთში და სხვაგან? ამის შესახებ მთავრობას არასოდეს არ ჰქონია სწორი ცნობები და არც ეხლა აქვს. უბრალო კომისარის მოღვაწეობით უკმაყოფილების ნიადაგზე, ხშირად აჯანყებები ხდება მთელს მაზრებში. მიზეზი? მთავრობა არავითარს კონტროლს არ უწევს თავის მოხელეებს. ეს მოხელეები სრულიად უპასუხისმგებლონი არიან და მათ წინააღმდეგ ამხედრება მთავრობის თვალში არის კონტრ-რევოლუცია და აჯანყება. ასეთი უგუნური მმართველების გამოსარჩლებით და მფარველობით ბევრს ადგილას გაამწვავა მთავრობამ ხალხთან დამოკიდებულება და მით ნიადაგი მოუმზადა იმ პირებს, რომელნიც ბოლშევიკური დროშით საქართველოს სახელმწიფოებრივობას ებრძვიან.

ხალხის მცირე უკმაყოფილება ხშირად ამბოხებად იქცევა, როდესაც ხალხს უდიერად მოექცევიან და ანგარიშს არ გაუწევენ. ვინ არიან ბოლშევიკები დუშეთში, თიანეთში თუ ლეჩხუმში? თითო-ოროლა კაცი. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს მთავრობა, არ არსებობს ადმინისტრაცია, არამედ არიან პარტიული მოღვაწეები, რომელნიც ყველაფერს აკეთებენ გარდა სახელმწიფოებრივი საყოველთაო წესრიგის დამყარებისა.

მთავრობის ტაქტიკა და ოპოზიცია

ეროვნული საბჭოს ერთს უკანასკნელ სხდომაზე სოციალდემოკრატიული ფრაქციის პასუხისმგებელმა ორატორმა ირაკლი წერეთელმა სთქვა: დემოკრატია თუ მოკვდება, საქართველოც მოკვდებაო. იმავე დროს, როგორც ვიცით, დემოკრატიად ის მხოლოდ სოციალისტურ დემოკრატიას აღიარებს.

საზოგადოდ, ჩვენს სოციალისტებსა ჰგონიათ, ვითომ საქართველოს ბედი სოციალიზმთან მჭიდროდ დაკავშირებული იყოს!

თითქოს საქართველო კაცობრიობის წინამძღოლი ავანგარდია?! თითქო უდიდესი სოციალური პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც ჯერ ვერსად ვერ შესძლეს, საქართველოს მისსიას შეადგენს?!

ამიტომაც არის, ეროვნული საბჭოს [illegible] რომ ასზე მეტი სოციალისტია!

ნუ დავუჯერებთ ლერუა-ბოლიეს და ვთქვათ, რომ სოციალიზმი დემოკრატიის გადაგვარება არ არის. ამ პირობითაც კი შეუძლებელია სოციალისტების აზრის გამართლება.

ისეთს პოლიტიკურად სუსტსა და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არა თუ სოციალიზმის, არამედ უბრალო რეფორმის განხორციელებაც კი ძნელია და სამოქალაქო ომის წარმოება ხომ— დამღუპველია!

და დღეს ჩვენი მიზანი სოციალიზმის განხორციელება კი არა, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა უნდა იყოს, ამას კი სოციალისტური ანარქიული ტაქტიკა სრულიად არ შეესაბამება.

გვეუბნებიან, ეროვნულ-დემოკრატიას მცირე ძალა ჰყავს და მაშასადამე არ შეუძლია სახელმწიფოს გამგებლობა თავს იდვასო.

მაგრამ, ჯერ ერთი, არც ისე მცირე ძალა გვყავს, როგორც ზოგიერთებს ჰგონია, მეორე, ძალთა რაოდენობის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოებრივ სისტემასაც და, მესამე, ამ სისტემის განსახორციელებელ მუშაობაში ეროვნული დემოკრატია ყველა პარტიას თანასწორად ჩააბამს.

დიახ! სახელმწიფოს აშენება მხოლოდ სოციალური თანამშრომლობის საფუძველზე შეიძლება და მაშასადამე სახელმწიფოს აშენებისათვის მხოლოდ ეროვნული დემოკრატია არის მოწოდებული.

გვეუბნებიან: თუ კი თანამშრომლობას აღიარებთ, რატომ მხარს არ უჭერთ სოციალისტურ მთავრობასო?

მაგრამ ეს უსაფუძვლო საყვედურია. ჩვენი თანამოაზრეები გაურბიან გარეშე მტერთან ბრძოლას?! ან უარს ამბობენ ანარქიასთან ბრძოლაზე?! საზავო მოლაპარაკებაში ჩვენც თქვენთან არა ვართ? და, საზოგადოდ, თუ გაკეთებულა რამე, ჩვენც წილი არ გვიძევს?!

არა, ბატონებო! ოპოზიციაში რომ ვართ, ეს იმას კი არ მოასწავებს, თითქო ჩვენი თავი ცხოვრების სარბიელიდან გაგვერიყოთ და თავი მოვიკალით!

არა! ოპოზიციაში მიტომა ვართ, რომ არ შეგვიძლია ვიკისროთ პასუხისმგებლობა იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც სოციალისტური მთავრობა აწარმოებს. პირიქით, ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაა, თვალი ვადევნოთ მთავრობასა და მისი შეცდომები ნათლად დავანახოთ!

დიახ, როდესაც ვხედავთ, რომ მთავრობა რესპუბლიკას უფსკრულისაკენ მიაქანებს, ოპოზიცია აუცილებლად მიგვაჩნია.

ეროვნულ საბჭოს სხდომაზე ახალ მთავრობის თავმჯდომარემ—ნოე ჟორდანიამ განაცხადა: მთავრობას ჰსურს შეჰქმნას ძლიერი რეგულიარული ჯარი და განახორციელოს საერობო თვითმმართველობა და მიწათ-მფლობელობის რეფორმა.

მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ეს დეკლარაცია ცარიელ დაპირებად დარჩება.

ჯერ ერთი, რეგულიარული ჯარის შექმნა თვინიერ სასტიკი სამხედრო დისციპლინისა—შეუძლებელია, რისთვისაც სხვათა შორის სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღებაც საჭიროა.

მეორე: ამგვარივე დისციპლინა უნდა იყოს ადმინისტრაციაშიაც. მაგრამ, თუ კი მილიციელი და მინისტრი თანასწორი უფლებით აღჭურვილი იქნებიან, თუ კი უფროსს უმცროსის სამსახურიდან დათხოვნა გაუჭირდება—ვინაიდან ერთი პარტიის არიან, თუ კი კაცს მილიციონერად მხოლოდ პარტიული რწმენისდა მიხედვით მიიღებენ და, თუ კი არც მილიციონერი და არც კომისარი თავისი მოქმედებისათვის სასამართლოს წინაშე პასუხისმგებელი არ იქნებიან, ვინ მოახდენს ჯარის მობილიზაციას? და ვინ განათავისუფლებს სოფელს ბოლშევიკ-დეზერტიროებისაგან?

და, შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტი მილიციონერად ნაკლებად გამოდგება. მილიციონერმა უნდა დაიცვას შეძლებული მოქალაქენი მძარცველთა თავდასხმისაგან. მაგრამ, თუ კი ის, პირიქით, მდიდართ მოძულეობას იქადაგებს, ამით, უეჭველია, ანარქიის ცეცხლს თავისივე ხელითვე დაანთებს!

დასასრულ მიწადმფლობელობის რეფორმა—სოციალისტური მთავრობის აქილევსისებური ტერფია. ვიდრე ამ რეფორმის განხორციელება დასრულდებოდეს, არ გვეცოდინება, ვის რამდენი მიწა აქვს, და მაშასადამე პირდაპირი გადასახადების შეწერა არ მოხერხდება. უამისოდ კი ფინანსების საქმე ვერ მოეწყობა.

ამავე დროს შეუძლებელი იქნება მიწების იძულებითი ჩამორთმევაც ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ გამოცემულ კანონში აღნიშნული წესით. 7 დესეტინა ვენახზე და თუთხმეტ დესეტინა სახნავ-სათესზე მეტი მიწა ბევრ მიწის მუშას აქვს და ისინი თავის მიწებს ცოცხალი თავით არავის დაანებებენ. იმავე დროს მიწების ჩამორთმევის წინააღმდეგ საშინელ აგიტაციას გასწევენ და მთელს გლეხობას აამხედრებენ!

დიაღ, ნოე ჟორდანიას მიერ დაპირებული რეფორმები—დაპირებადვე დარჩება.

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი უცნაური ჩვეულება, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა შეითვისეს (ლმაად შეუძლდენ!): ეროვნულ საბჭოს ტრიბუნა უმთავრესად ნაციონალ-დემოკრატების საგინებელ ადგილად გადააქციეს. რას არა გვწამებენ! რას არ გვაბრალებენ! თითქო, ჩვენ რომ მათ ხელს არ უშლიდეთ, აქამდის საქართველოში ჯარიც, წითელი გვარდიაც, თავად-აზნაურობაც და გლეხობაც—თავისი ბედის მადლიერი იქნებოდნენ და საქართველოში ანარქიას ბოლო მოეღებოდა!

ეროვნული - დემოკრატების ქადაგება ქმნის ანარქიას — სთქვეს ირაკლი წერეთელმა და ნოე ჟორდანიამ და მათმა ამხანაგებმა! ჩვენის ფიქრით, ანარქიას, პირიქით, ამგვარი დემაგოგია ქმნის!

და სწორედ საკვირველია ჩვენი სოციალისტებისა და ნიკოლოზ მეორის ბიუროკრატიის აზროვნების მეთოდის იგივეობა: ბიუროკრატიასაც ხომ მუდამ ის ეკერა ენაზე, წესიერებას სოციალისტების ქადაგება არღვევსო!

და, შესძლოა, რომ ეს ზღაპრული შედარებაც კი საკმაო უნდა იყოს იმის დასამტკიცებლად, რომ სოციალური წოდების ამგვარი ახსნა პოლიტიკური აზროვნების უსუსურობის მოასწავებელია.

სოციალურ ანარქიას და მოუწესრიგებლობას უმთავრესად მთავრობის დეზორგანიზაცია და შეუსაბამო კანონმდებლობა ქმნის! და, ვინაიდან ძალა-უფლებაც და კანონმდებლობაც სოციალისტებს უჭირავთ ხელში, მთელი პასუხისმგებლობაც მათ უნდა იკისრონ.

გახილ წერეთელი.

პრესა

გაზეთ „ერთობას“ მოჰყავს ნემეცურ გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ 82 ნომერში მოთავსებული შემდეგი წერილი საქართველოს შინაური მდგომარეობის შესახებ:

„საქართველოს შინაური მდგომარეობა დღითი დღე ცუდად მიდის. ეს ფაქტია, რომელსაც ვერავინ უარყოფს, მაგრამ ეს გარემოება მაინც ვერ პოულობს გამოძახილს იმათში, ვისაც დღეს ხელთ უპყრავთ სახელმწიფოს მართვის სადავე. ქვეყნის მართვა-გამგებლობა ეს დიდი სერიოზული საპასუხისმგებლო ოსტატობის საქმეა და ის უფრო მძიმეა იმ მხარისათვის, სადაც ანარქიის მძვინვარებას დაუდევნია ყოველისფერი. ნუ თუ ამას კარგად ვერ ხედავენ დღეს ამ საქმის ხელმძღვანელნი? ნუ თუ ისინი, მართლა ფიქრობენ, რომ შესწევთ ძალა დაამყარონ თავიანთ სამშობლოში სიწყნარე და წესიერება და შეუდგენ ახალ ცხოვრებას? მათი დიდი ხნის რუსული რეცეპტით მუშაობა ცხადჰყოფს მათი სამშობლოს ხელ ახალი განკურნების შეუძლებლობას. არც ერთ რევოლიუციას არ შეუძლია დაუსრულებელი განვითარება; ყველა უნდა შეჩერდეს მაშინ, როცა მისი ქვეყნის მაჯის ცემა ნელდება.

აქ რუსეთის საშინელი მაგალითი მაინც უნდა გვედგას თვალწინ! რუსეთი მისმა ხალხის წინამძღვრებმა მიიყვანეს საფლავის კარამდე. ამის მიზეზი ის იყო, რომ ისინი მიხვდნენ თავიანთი ხალხის ბორკილებიდან განთავისუფლებას, მაგრამ ვერ შეიგნეს მათ ხელმძღვანელობის აუცილებელი საჭიროება.

დიახ, ქვეყნის მართვის საქმე—ეს დიდი ოსტატური საქმიანობაა და ვინც ამ საქმისათვის მოწვეული იქნება, მას სჭირია რამოდენიმე წლის გამოცდილება და ვარჯიშობა. მოიპოვებიან კი ესეთი ადამიანები საქართველოს ხალხის ხელმძღვანელთა შორის?

სოციალდემოკრატების ფანატიკური მიმდევრობა მისი დოგმების სიმბოლო სარწმუნოებით გამოცხადებას არასოდეს არ ძალუძს შექმნას სახელმწიფო მოღვაწეები და რევოლიუციის ტალღებით ზედა პირზე ამოტივტივებულ ხალხის მეთაურებში ხომ სულ იშვიათია ასეთი ხალხი. დიდი ადამიანი—მხოლოდ ის ხალხის მეთაურია, რომელიც თავის ნიჭს სწორეთ ასწონის, დროზე შეჩერდება და ეტყვის თავის თავს: „მე არ ვარგვარ, როგორც სახელმწიფოს მოღვაწე“.

ვინც დღეს საქართველოს მართვა-გამგებლობის საქმეში იღებს მონაწილეობას, ის მარტო თავის ქვეყნის ბედნიერებაზე უნდა ფიქრობდეს და ამასთანავე იყოს ნიჭიერი, გამოცდილი და ხელოვანი თავის საქმისა.

რევოლიუციის ძვირფასი მონაპოვარიც განსაცდელშია, ვინაიდან მხარე მოუცავს თავაშვებულ ანარქიის საშინელ თვითნებობას.

მაშ, საჭიროა თუ არა ხალხი აღჭურვილი ენერგიით, ცოდნა-გამოცდილებით და სამშობლოს სიყვარულით, რომ იხსნას მხარე ანარქიის ბრჭყალებისაგან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ კი—მაგრამ პოლიტიკურ დილეტანტების რიგში ასეთები როდი მოიპოვებიან! საქართველოს მართველობა არამც და არამც არ უნდა იყოს პარტიული მართველობა! ამგვარი—პირველ ყოვლისა, ფიქრობს თავის საკუთარ უფლებაზე და ძლიერ ცოტას—თავის სამშობლოს კეთილდღეობაზე.

საქართველოს სჭირია დღეს ქართველი მამულიშვილები. მხოლოდ მათ შეუძლიანთ იხსნან ქვეყანა თუ კი ისინი აღჭურვილნი იქნებიან შეგნებით ცოდნით და გამოცდილებით.

დღემდე საქართველო შევიწროებული იყო პარტიული მართვა-გამგეობით ეს შევიწროება უფრო მწვავეა დღეს ვიდრე ეს იყო ძველი მთავრობის დროს. დღევანდელი მართველობა ემსახურება მხოლოდ პარტიის კეთილდღეობას; მთელი ქართველი ხალხისათვის კი ძლიერ ცოტა სარგებლობა მოაქვს, ვინაიდან ნამდვილი მამულიშვილები ამ გამგებლობაში სიტყვის თქმის უფლებასაც მოკლებულნი არიან.

და ასე კიდევ ერთხელ: საქართველოს საჭიროებს მამულიშვილებს, რომლებიც მთელი ხალხის კეთილდღეობას უფრო მაღლა დააყენებენ, ვიდრე თავიანთ პარტიულ ინტერესებს“.

„ერთობას“ უკვირს ასეთი აზრები და ამბობს:

„ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია რის თქმა სურს ამ წერილით ნემეცურ გაზეთს. რით შეუთვისებია ამ გაზეთს ასე ზედმიწევნით ეროვნულ - დემოკრატების „საქართველოს“ აზრები“.

ეროვნულ-დემოკრატია რომ აზრებს ჰქადაგებს სახელმწიფოებრივ ცხოვრების შესახებ გაზეთ „საქართველოს“ შეთხზული და მოგონილი არ არის. ეს აზრები შეთვისებული აქვთ ყველა კულტურული ქვეყნების მეთაურებს და ეს აზრები სხვაგან განხორციელებული და ხორცშესხმულია. მხოლოდ რუსეთის ბოლშევიკები და საქართველოს მენშევიკები სცდილობენ სახელმწიფო ისე ააშენონ, როგორც ამას მათი შეთხზული პროგრამა უკარნახებს. არ არის გასაკვირველი რომ სოციალ-დემოკრატების ასეთ პოლიტიკას, რომელიც ჩვენს ცხოვრებას ახალს და ახალს ხიფათს უმზადებს, ქართველი ხალხი უკვე აღარ თანაუგრძნობს. არც ის არის გასაკვირველი, რომ ამ პოლიტიკას იწუნებს აგრეთვე საქართველოში მცხოვრები გერმანელები, რომელთა აზრი მოჰყავს გაზეთს „ერთობას“ არამც თუ ისეთი ეროვნული განსაცდელის დროს, როგორსაც განიცდის დღეს საქართველო, არამედ ჩვეულებრივს, ნორმალურს პირობებში დაწინაურებულ ერების მთავრობა ხალხის რეალურ ძალთა განწყობილებას გამოხატავს და ერთ პარტიას, ანუ ჯგუფს მარტო არ ეყრდნობა. ასეთი აზრები მხოლოდ ჩვენ გზა აბნეულ პოლიტიკოსებს თუ ეუცხოვება. „ერთობას“ უკვირს:

„ახლა ხომ ყველა პარტიის წარმომადგენლები შედიან მთავრობაში! ნუთუ ასეთი მთავრობა აღარ გამოხატავს ხალხის სურვილებს? ჩვენ გვესმის, როცა ლაპარაკობენ კოალიციონურ მთავრობის უპირატესობაზე, მაგრამ ვერ გაგვიგია, როცა რაღაც „მამულიშვილურ მთავრობაზე“ გველაპარაკებიან“.

გაზეთი „ერთობა“ არ უნდა იეიწყებდეს, რომ ის არის მთავრობის პარტიის ორგანო, რომ დარბაისლურად გამოთქმულ აზრებზე ასეთი პასუხის გაცემა მას არ ეპატიება. მთავრობაში, რასაკვირველია, არ შედიან ყველა პარტიის წარმომადგენელნი. დღევანდელი ჩვენი მთავრობა ერთი პარტიის მთავრობაა—სოციალისტური პარტიის. ამ მთავრობის გარეშეა ყველა არა სოციალისტური მიმდინარეობანი და „ერთობამ“ კარგათ უწყის, რომ სწორედ ეს ძალები შეადგენს სახელმწიფოს საფუძველს და შინაარს. „უპარტიონი ჩვენში თითზე ჩამოსათვლელი არიანო“ ამბობს „ერთობა“, ასევე იტყვის ის უთუოდ საზოგადოდ ყველა არა სოციალისტურ მიმდინარეობებზე, და ეს რომ მართლაც ასე იყოს, საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების შექმნა [illegible] მოგვჩვენებოდა.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი ის არის, რომ „ერთობა“ გერმანულ გაზეთის საპასუხოდ გარეშე ძალის ჩვენს საქმეში ჩარევის მავნებლობას ამტკიცებს ცხარედ. გერმანული გაზეთი სრულიად არ იძლეოდა ამის მიზეზს. ის მხოლოდ იმის შესახებ სწერს, თუ როგორი პატრიოტული მთავრობა იხსნის საქართველოს. ამის საპასუხოდ „ერთობა“ ისე როგორც რუსული „ბორბა“ გარეშე ძალის ჩარევის მავნებლობის მტკიცებას ჰკიდებს ხელს. შეუწყნარებელია, რომ მთავრობის გაზეთები დაჟინებით კამათობდნენ ამის შესახებ, როდესაც მონა უჩრობს ცხოვრებაში გარეშე ძალის ჩარევის საჭიროებას საქართველოში არავინ არ იცავს და არ ქადაგებს, სოციალისტური მთავრობის დაწუნება და ნამდვილი ეროვნული მთავრობის დაცვა გარეშე ძალების დაყრდნობას კი არ ნიშნავს, არამედ ქართველი ერის გაერთიანებას და შეკავშირებას მოასწავებს.

ომი

დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა

ბერლინი. 2 ივლისის გერმანეთ-ავსტრო-უნგრეთის ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფრონტის ბევრ ნაწილებში მოწინააღმდეგე ძლიერ ამოქმედდა, მაგრამ ყველა მოვიგერიეთ.

გერმანიის კრონპრინცის არმია, უაზის დასავლეთით და მდ. ენის სამხრეთით მწვერვალთა გაძლიერებული მოქმედებაა.

მდ. უაზის სამხრეთით და შატო-ტიერის დასავლეთით მოწინააღმდეგის ნაწილობრივი იერიში შევაჩერეთ.

ლეიტენანტ უდეტმა მე 37-38 ჯერ ხოლო ლეიტენანტ კროლმა მე 28 და 29 ჯერ გაიმარჯვეს ჰაერის ბრძოლაში.

იტალიის ფრონტი.

მთელ ფრონტზე გაძლიერებული საარტილერიო მოქმედებაა. განსაკუთრებით მოქმედება გაძლიერდა დღეს დილით ადრე ბრენტასა და პიავეს შუა და პიავესთან. გუშინ ნავარაუდევი იყო დიდი ბრძოლების დაწყება, მაგრამ არ მოხდა.

პალესტინის ფრონტი

სტამბოლი. 2 ივლისის საომრო ცნობა. საერთოდ საომარი მოქმედება სუსტია. მდ. იორდანესა და (გამოტოვებულია) შუა ჩვენი არტილერია მა-

---

რას მოითხოვს დღეს სამშობლო?

დიდი ცვლილება გვარგუნა ამ მოკლე ხნის ისტორიამ. იმ ადამიანისათვის, რომელიც ყოველ წამს გულის დასაწყნარებლად იმეორებდა: „აწმყო თუ აღარ გაწუხებს, მომავალი ჩვენია“, ყოველგვარი ცვლილება დადებითი მოვლენაა, დადებითია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ახალი არამც თუ არ აუმჯობესებს მის მდგომარეობას, პირიქით, შეიძლება კიდეც აუარესებს მას: რაც უნდა იყოს, ცვლილება აგონებს მას, რომ ყველაფერი ამ წუთ-სოფელში დროებითია, დროებითია აგრეთვე მისი ტანჯვაც და რომაული ანდაზის არ იყოს, si male nunc, non semper sic erit.

ზედმეტია აქ ლაპარაკი მომხდარ რევოლიუციის და საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობის შესახებ. მისი უდიდესი დადებითი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის განვითარებისათვის იმ ზომამდე თვალსაჩინოა, რომ ის ყველასათვის ცხადია. განა ადამიანის სუსტი გონება გაწვდება, რომ აღნუსხოს მხოლოდ უმთავრესი შედეგები ამ ბედნიერებისა, რომელსაც სახელად ეწოდება თავისუფალი საქართველო? მივანდოთ უსაზღვრო სინამდვილეს ამ შედეგების განხორციელება და თვითონ კი, როგორც მცირე ნაწილმა ამ სინამდვილისამ, ვეცადოთ ჩვენის მხრით, არ ჩამოვრჩეთ მას ჩვენს მოქმედებაში, ვინაიდგან მხოლოდ მოქმედებაში, რეალობის გარდაქმნაში, გამოიხატება უღრმესი შინაარსი ადამიანის ბუნებისა. ამ მოქმედებაში გამოიხატება, თუ გნებავთ, მისი დანიშნულებაც.

განვლო ხანამ სინამდვილიდან გათიშვისა, იმ ხანამ, როდესაც ქართველი ინტელიგენტი შორიდან უცქეროდა ცხოვრების პროცესს და მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებდა ამ პროცესისათვის ფორმულების ჩამოყალიბებას განყენებულ აზრის სფეროში. მოქმედება, განუყრელი ერთობა სინამდვილესთან, შეგრძნობა მთლიანობისა უსაზღვრო ცხოვრებასთან—აი რას მოითხოვს ჩვენგან დღეს ისტორიული ევოლიუცია. სწორედ მოგახსენოთ, არ მოიპოვება ბედნიერება უმაღლესი ასეთი სულის განწყობილებისა. რეფლექსია—წყარო პესიმიზმისა, მოქმედება კი მისი აღმომფხვრელი ძალა.

მოქმედება, რომელიც მოითხოვს სინამდვილესთან შეთანხმებას, არის საფუძველი პიროვნების გამდიდრების და გაფართოებისა. განა მოიპოვება რამე უმდიდრესი და უმრავალფეროვნესი სინამდვილისა, რომლის გავლენის ქვეშ აყენებს ადამიანს მისი მოქმედება? სწორედ უმოქმედობა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, შეზღუდვა ჩვენი მოქმედებისა გარედან მოწოლილი უხეში ძალის მიერ, რომელიც გვევლინებოდა რუსეთის იმპერიის სახით, იყო მიზეზი ჩვენი ერთფეროვანებისა და ხასიათის სილატაკისა. და ხასიათის სილატაკე, ეს გადაგვარების წინამორბედი, ხომ ერთგვარი უხასიათობაა. ეს ხომ ერთგვარი გამოურკვევლობაა, რომელიც ქმნის უთანხმოებას ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენებთან შეტაკებაში.

მართლაც და რანი ვიყავით ჩვენ, ქართველი ინტელიგენტები დღემდე? —რაღაც უსულგამული აბსტრაქცია, მოკლებული რეალ შინაარს. ყველა ჩვენგანის გონებაში ღრმად იყო გამჯდარი ერთი აზრი: ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ, იმ რუსეთისა, რომელიც ჰპოჰავს ადამიანის თავისუფლებას და უკრძალავს მას მოქმედებას. ეს აზრი იმდენად გვტანჯავდა, იმ ზომამდე იყო გაბატონებული ჩვენს სულში, რომ ის გადაიქცა თითქმის idée fix-ად. და როგორც ავადმყოფთ ამ უკანასკნელი ავადმყოფობით, ჩვენ არ გვქონდა შეძლება რამე სხვაზე გვეფიქრნა. რუსეთის თვითმპყრობელობა და მასთან ბრძოლა, აი რა შეადგენდა მთელ ჩვენს შინაარსს. ეს აზრი ჩრდილავდა სხვა აზრებს, ჩრდილავდა მაშასადამე ინდივიდუალ თვისებებს თვითეული ჩვენგანისას. ყოველი ქართველი ინტელიგენტი იმ ზომამდე ჩამოგავდა ამის გამო თავის ამხანაგს, რომ ისინი ძმები გეგონებოდა. რა თქმა უნდა ეს ერთგვარი სიახლოვეა სულიერი განწყობილებისა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება რომ ასეთი სიახლოვე შეძენილი იყო იმ მძიმე პირობების ზედგავლენის ქვეშ, რომელნიც ზღუდავდენ ქართველი ერის შემოქმედ ძალებს: ეს იყო ერთფეროვნება უდაბნოსი და არა ნათესაობრივი მიმზიდველობა ორი მდიდრად დაჯილდოვებულ ბუნებისა, რომელთაგან თვითეული ეძებს მეორეში თავის დამატებას და შევსებას.

ცხოვრებისაგან განშორებულნი, უსაზღვრო სინამდვილეს მოწყვეტილნი ჩვენ მოკლებულნი ვიყავით იმ პირობებს, რომელნიც ჰქმნიან მძლავრ პიროვნებათ. ამ გარემოებამ იმ ზომამდე დაგვეიმორჩილა, რომ უმრავლესობამ ჩვენგანმა სრულიად დაჰკარგა ცხოვრების ალღო და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საუკეთესო ნიმუშებს ადამიანობისას თითქოს წარმოადგენდნენ ისინი. გავიხსენოთ, თუ გნებავთ, უხასიათობის აპოლოგეტი მიხაილოვსკი და თავისებური ინდივიდუალიზმი ამ მწერლისა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია არამც თუ რუსეთის, არამედ ჩვენი ქვეყნის სოციალისტებზედაც, განურჩევლად მათი ფრაქციული მიმართულებისა, როგორც რუსეთის, ისე ჩვენი მარქსისტები ცხოველ განხორციელებას წარმოადგენენ თავისი იდეური მოწინააღმდეგის მიხაილოვსკის ფილოსოფიისა, რომლის ძირითადი დებულებანი მათ შეუგნებლად შეთვისებული აქვთ. ნარჩი სიყრმიდანვე ყოველს ჩვენ სოციალისტურად მოაზროვნე ინტელიგენტს, მიუხედავად იმისა, ეკუთვნის ის სოციალ-დემოკრატების ბანაკს თუ იზიარებს სოციალისტ-ფედერალისტების გეგმას ცხოვრების გარდაქმნისა, ერთგვარ რაინდად მოაქვს თავის-თავი და სიბრალულით უცქერის ყველას, ვინც მასთან ერთად არ არის „რაინდული“ (და ჩვენის აზრით კი ცალმხრივი) იდეით გატაცებული. მის გონებაში ადამიანები იყოფება მხოლოდ ორ ჯგუფად: ერთს შეადგენენ რაინდები—სოციალისტები, მეორეს კი პატარა კაცუნები, აი თუ გინდ ეროვნული დემოკრატები, საცოდავი ბრბოს წევრები, შეგნებას მოკლებულნი. ამ კაცუნებს მხოლოდ და შეუძლიათ, მისი აზრით, საჭირ-ბოროტო საყველ-პურო საქმეებზე ზრუნვა. რაინდს კი ჰმართებს აკეთოს საგმირო საქმე. მხოლოდ ეს უკანასკნელი არის მისი მაღალი დანიშნულებისა. და რადგანაც საგმირო საქმე ხომ ძლიერ იშვიათია და მას ყოველდღე ვერ შეხვდებით, ვინაიდგან ცხოვრება არ არის განუწყვეტელი რევოლიუცია—ამის გამო ჩვენი „რაინდი“, მოკლებული სამოქმედო ასპარეზს 26 თებერვლამდის, ცუდათ და უსაქმოდ ატარებდნენ დროს უნაყოფო ლაყბობაში. 26 თებერვალს აიღვრა ცხოვრების ზედა პირი (არა „რაინდების“ წყალობით, არამედ ცხოვრების ვითარების შინაგანი კანონის ძალით) და ჩვენი „რაინდნი“ მოექცნენ საზოგადოებრივ ცხოვრების სათავეში. ეს იყო ერთგვარი „რაინდული“ უზურპაცია; მაგრამ ცხოვრება ხომ მუდამ არ იქნება აღლვრილი, ერთ დროს ხომ უნდა ის დაიწმინდოს. მაშინ რას იზამენ ჩვენი „რაინდები?

გმირები საზოგადოთ აღარ სჭირია ცხოვრებას. ძლიერ კარგი კიდევ თუ ას წელში ერთხელ ერის ცხოვრებამ მოითხოვა გმირი, რომელსაც ას ადამიანებს ასეთ შემთხვევაში ერთი დაკვრით თავისი მადლიერი ინდივიდუალობისა გაერთიანოს განცალკევებული მისწრაფებანი და ააფეთქოს ის აფეთქებული მასალა, რომელიც უხვად მოაგროვა [illegible] მუშაკთა სადღაც გარეშე. ნორმალურ ცხოვრებაში კი გაცილებით მეტ ღირებულებას წარმოადგენს უბრალო მუშაკი, რომელიც გმირობას არ ჩემობს და კულტურულ მასალის დაგროვების პროცესში გარჯას დიახაც არ ერიდება. ამისათვისაც ნორმალური ცხოვრების კალაპოტში ერთი მუშაკი გაცილებით მეტად ფასობს საზოგადოების ინტერესების თვალთსაზრისით, ვიდრე ასი გმირი. ნაპოლეონი კარგი იყო საფრანგეთის რევოლიუციის ხანაში, რადგან მაშინ საჭირო იყო გმირული მეთოდები ბრძოლისა. მაგრამ წარმოიდგინეთ იგივე ნაპოლეონი იმავე საფრანგეთში—ოთხმოციან წლებში წარსული საუკუნისა, და თქვენ დამეთანხმებით, რომ სწორედ საბრალო იქნებოდა ამ დროის დიდი ნაპოლეონი. რატომ?—იმიტომ რომ ცხოვრება შეიცვალა.

ლერმონტოვი ამბობს ერთ ადგილას, რომ მას ვერ წარმოუდგენია მდგომარეობა უსაცოდავესი იმისა, როდესაც გენიოსი ცხოვრების უკმობელი კანონის ძალით მიკრულია სამუდამოთ

რუჯვდ ესროდა მოწინააღმდეგის ერთ რაზმის ცხენოსან ნაწილებს. მდ. იორდანის ჩრდილოეთით ჩვენ კარგად მოვახდინეთ დაზვერვა. სხვა ფრონტებზე არსებითი არაფერია.

როტერდამი. 2 ივლისი. ინგლისური გაზეთი „ტაიმსი" მილანიდან იტყობინება, რომ იტალიაში უკვე მოვიდა პირველი კონტინგენტი ამერიკის ჯარისა.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **დუშეთის მაზრა.** როგორც ირკვევა დუშეთის მაზრის ანარქიის მეთაურნი ფართოდ აბამდენ ანარქიის ქსელს ბოლშევიზმის სახელით მაზრის გარედაც. დელეგაციები უგზავნიათ და მიწერ-მოწერა ჰქონიათ თიანეთის და გორის მაზრებას კომისარებთან. მაგ. ერწოს, ცხინვალის, მეჯვრისხევის და სხვა სოფლის კომისარებთან, წითელ გვარდიას (თავად-აზნ. ჯარს) ებრძვით და მოგვეშველეთო.

ორ მკათათვეს დილით გვარდიამ დაიჭირა სოფ. ნატახტარი. მცხოვრებლებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, იარაღი მოაქვთ და აბარებენ პოლკოვნიკ კონიევს, რომელმაც სთხოვა გლეხებს დაბრუნდნენ სახლებში და პირობა მისცა რომ მათ არავინ არაფერს დაუშავებს. მცხოვრებნი უბრუნდებიან სოფელს და განაგრძობენ ჩვეულებრივ მუშაობას.

◆ როგორც ქუთაისის გაზ. „სოც.-დემ." გადმოგვცემს რაჭის მაზრაში ბოლშევიკური ბრბოების სულის ჩამდგმელი ყოფილა ვინმე შ. ლეჟავა, რომელმაც 1906 წელს გაიტაცა რამდენიმე ათასი სახალხო ფული და საზღვარ გარედ გაიქცა. ბოლშევიკების ბრბოებმა ძალიან დააშინეს მცხოვრებნი, იტაცებენ ქალებს და მთელი დღე ისვრიან თოფებს.

◆ **გუდაუთის ამბების** დროს ბოლშევიკებმა დაატყვევეს 100 კაცზე მეტი უმთავრესად გუდაუთის დამცველი თბილისიდან გაგზავნილი რაზმის კაცები. 11 კაცი აწამეს, ზოგს თვალები დასთხარეს, ხელები დასჭრეს და ხანჯლებით აკუწეს, დანარჩენი ტყვედ წაიყვანეს გაგრისკენ. ბოლშევიკებს მეთაურობს ცნობილი ლაკობა, რომლის ლაშქარიც შესდგება „ბოსიაკი" რუსებისაგან და ნაწილად აბხაზებისა და სომხებისაგან. ამ ჟამად სოხუმსა და გაგრაში გენ. მაზნიაშვილის ჯარის ნაწილებია დაბანაკებული.

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ**, მოისმინა რა მოხსენება საქართველოს კათოლიკოზის კირიონ მე-II გარდაცვალების თაობაზე დაადგინა, დაესწროს მთელი თავისი შემადგენლობით განსვენებულის პანაშვიდებს და დაკრძალვას, დაკიდოს მუზეუმში განსვენებულის სურათი და მის ხსოვნის პატივსაცემლად მოახდინოს საგანგებო კრება, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენება მათი შრომისა და მოღვაწეობის შესახებ.

◆ **„საქართველოს" კონტორა** მოაგონებს პატივცემულ ხელის მომწერთ წარმოადგინონ ხვედრი ფული 10 ივლისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.

◆ **„ახალი საკრებულო"** გადავიდა სამუდამო ბინაზე.

დღეს სინემატოგრაფია ფრიად საინტერესო პროგრამით. წევრები და კანდიდატები საზოგადო წესით.

◆ **რუსის ლტოლვილები.** შავი ზღვის ფლოტის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა ფოთის ქალაქის გამგეობას გახსნას გემებზე მიმოსვლა საქართველოს და რუსეთის პორტების შორის იმ პირობით კი რომ საქართველოს რესპუბლიკა არ შეეხოს რუსის გემებს. რუსების ეროვნულმა საბჭომ ამ 5 დღის წინად შუამდგომლობა აღძრა საქართველოს მთავრობასთან საჩქაროთ განიხილოს ეს საკითხი და შესაფერი გარანტია მისცეს. ამ ჟამად ბეჟენცები დაგროვილნი არიან უმთავრესად თფილისსა და ფოთში და ელიან ჩრდილოეთისაკენ გამგზავრებას.

◆ **თბილისში** მიღებულ ნამდვილ ცნობებით დუშეთის ახლოს ჩვენმა ჯარმა შეტევა დაიწყო. ბოლშევიკებსა და გვარდიელებს შორის ცხარე ბრძოლა სწარმოებს.

◆ **2 ივლისს** წილკანის ახლო შეტაკება მოხდა ბოლშევიკებსა და სახალხო გვარდიელებს შორის. დაჭრილია 7 გვარდიელი.

◆ **2 ივლისს** წითელ გვარდიელებს დამცველ შტაბში მიჰყავდათ ოჰანეზ ამბაროვი და ვლ. კულჩინსკი, რომელთაც ვორონცოვის ხიდზე გაქცევა დააპირეს. გვარდიელებმა ორივე იქვე დახოცეს.

პარტიული ცხოვრება

◆ **მთავარი კომიტ. კრება პროვინციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.** კვირას, 7 ივლისს, დილის 11 საათზე მთავარი კომიტეტის ბინაზე შესდგება მთავარი კომიტეტის კრება პარტიული კომიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ კრებისათვის ყველა ქალაქების და სამაზრო კომიტეტები გზავნიან თითო წარმომადგენელს. კრების საგანს შეადგენს საორგანიზაციო და სატაქტიკო საკითხები.

◆ **მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია სასწრაფო საკითხები. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

კირიონის გარდაცვალების გამო

გუშინ გერმანიის სამხედრო მისიის წარმომადგენლებმა, გენერალ ფონ-კრესსმა და გრაფმა შულენბურგმა სადარბაზოთ ინახულეს თბილელი მიტროპოლიტი, ყოვლად სამღვდელო ლეონიდი და გამოუცხადეს მას მწუხარება კათალიკოს-პატრიარქის გარდაცვალების გამო. სტუმრები დარჩნენ მიტროპოლიტთან ნახევარ საათს. სხვათა შორის გრაფი შულენბურგი ბაასის დროს შეეხო პოლიტიკური მომენტის ვითარებას.

—

ქუთაისიდან. მრავალ ტანჯულ საქართველოს ეკლესიას, რომელმაც თავგანწირვით გამოიტანა თავისუფლება ორთავიან არწივს უცნაურმა ბოროტებამ მოსტაცა მისი სიამაყე უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოსი კირიონ მეორე. მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი, სამიტროპოლიტო საბჭო და სასამართლო გულმოკლული დასტირიან ქართველთა ეკლესიის და ერის მოპირნახულის ნეშტს და იმედოვნებენ, რომ თავისუფალი ერი საქართველოსი გასწმენდს თავის მიწაწყალს, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის მტერთა და მოღალატეთაგან.

მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი.

საქართველოს ეროვნული საბჭო

2 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე. დღიურ წესრიგშია მიწათ-მოქმედების სამინისტროს კანონ-პროექტები, სხვა და სხვა სალიკვიდაციო დაწესებულებათა მოხელეთა დაჯილდოების კანონ-პროექტი, სიკვდილით დასჯის კანონ-პროექტი და საბჭოს წევრის ა. ახმეტელის შეკითხვა შესახებ დუშეთში მომხდარ ამბოხებისა.

ყველა კანონ-პროექტები, გარდა სიკვდილით დასჯისა, რომელიც გადაიდო საღამოს კრებაზე, ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული იყო.

შემდეგომ იწყება შეკითხვა, დუშეთში მომხდარ ამბების შესახებ.

ეს საკითხი იწვევს დიდს ინტერესს, რადგანაც საბჭოს წევრები, პირველ რიგ საკითხების განხილვის დროს, ორთავე ფრთებზე, ზოგი გაზეთებს კითხულობს და ზოგი კი კერძო საუბარში გართული.

სიტყვა ეძლევა შეკითხვის ავტორს ა. ახმეტელს.

ორატორის აზრით დუშეთის ამბები აღმოცენდა იმის გამო, რომ ჩვენ ვერ შევქმენით ძლიერი მთავრობა. მაშინ, როდესაც საქართველოს დედა ქალაქის თვითმართველობაში უპასუხისმგებლოდ აწარმოებენ ყოველნაირ პროვოკაციას „ხულიგნები", „ნატისოვები" და ძმანი მათნი, მაშინ, როდესაც აქვეა თბილისში ბრძანდება ყოფილ რუსის ჯარების ყოფილი სარდალი ლებედინსკი და ყოვლად დაუსჯელად აწარმოებს პროვოკაციას, რომლის ყავახანაშიაც არის ბუდე ყოველნაირ პროვოკაციულ აჯანყების მომწყობ პირებისა, რომელთა ყოველივე ცდა და წადილი მიმართულია საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, მე მინდა გავიგო რა ზომებს იღებს მთავრობა ამ პირთა წინააღმდეგ.

საქართველოს ყველა კუთხეები მოცულია ანარქიით და მე ვიცი, ამბობს ორატორი, რომ ის უპასუხისმგებლო პირები, რომელნიც არიან მომწყობნი ამ აჯანყებების დასეირნობენ გოლოვინის პროსპექტზე სრულიად დაუსჯელად. გასაკვირველია ერთი რამ, რომ მაშინ როდესაც საქართველოს სამხედრო გზას იცავდა აბესაძის რაზმი არ ჰქონდა არავითარი ადგილი აჯანყებას და სწორედ იმ დროს, როდესაც ეს რაზმი შესცვალა ვიღაც ფალიანის რაზმმა, სწორედ მაშინ იჩინა თავი ანარქიამ. ორატორი ბრალსა სდებს მთავრობას იმაში, რომ ადმინისტრაციული აპპარატი არ არის საღ ნიადაგზე დაყენებული და ის ფაქტი, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ადრევე ვერ გაითვალისწინა, ვერ შეამჩნია რომ მაზრაში მზადდებოდა აჯანყება არ არის ამის დამამტკიცებელი, და ის რომ ამ ამბებს მთავრობა იგებს ხოლო მომხდარ ფაქტების შემდეგომ არ არის დიდი დანაშაული ადმინისტრაციისა. და მაზრის კომისარი ვ. ჯაფარიძე სრულიად დაუსჯელია. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება, და მე მინდა გავიგო, ამბობს ორატორი, რას ფიქრობს ამის შესახებ ის და რა ზომებს მიმართა მან.

შეკითხვაზე პასუხს იძლევა მთავრობის თავმჯდ. ნ. ჟორდანია. ის დუშეთის ანარქიაში ბრალსა სდებს ბოლშევიკებს და მათ პროვოკაციულ პროპაგანდას, რომელსაც კარგი ნიადაგი ჰქონდა ჩვენს ჩამორჩენილ კუთხეებში. დიდი ბრალი ედებს, ამბობს ორატორი, დუშეთის მოძრაობაში პოლკოვნიკ აბესაძის რაზმელებსაც. შემდეგომ ეხება იმ ზომებს, რომელიც მიიღო მთავრობამ. უკანასკნელმა მოახდინა სახალხო გვარდიელების მობილიზაცია, რომელიც გაიგზავნა დუშეთისაკენ, ხოლო წინასწარ გაიგზავნა აღმასრულებელ კომიტეტის მიმართვა დუშეთის ხალხის მიმართ და ამ მიზნით სპეციალურად გაგზავნილი იყო ჰაეროპლანი, რომელსაც უნდა მიეფანტა ეს პროკლამაციები. გაგზავნილი იყვნენ ამხანაგები მუშები მცხოვრებლებთან მოსალაპარაკებლად და ამ მოლაპარაკებიდან გამოირკვა, რომ მშვიდობიანი მცხოვრებლები ბოლშევიკების პროვოკაციით შეყვანილ იყვნენ შეცდომაში. შემდეგომ მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მთავრობა იღებს საჭირო ზომებს, რათა ჩააქროს გლეხთა მოძრაობა და სამართალში მისცეს დამნაშავენი.

ქალაქის საბჭო

1 ივლისი.

სხდომა გაიხსნა ლომთათიძის თავმჯდომარეობით 10 საათზე. თავმჯდომარემ ვრცელ სიტყვაში მწუხარებით აუწყა გამოჩენილ ს. დ. პლეხანოვის გარდაცვალება, და სთქვა რომ იგი თავისი სიტყვით ვერ შესძლებს პლეხანოვის დაფასება-დახასიათებას, რადგან იგი მეტად დიდი ადამიანი იყო. რუსეთის გარდა მას იცნობდა მთელი ევროპა და უკანასკნელ ხანში ყურს ადევნებდა მის სიტყვებს. საბჭომ პლეხანოვის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა. ასათიანის წინადადებით მიხეილის პროსპექტს უნდა დაერქვას პლეხანოვის ქუჩა და ქალაქის ერთ-ერთ სკოლასაც მისი სახელი დაერქმევა.

ქალაქის თავმა ელიავამ მოახსენა საბჭოს მოკლედ 25 მილიონის სესხის შესახებ, რომელიც უნდა ეღოთ ამიერკავკასიის მთავრობის დროს და რომელიც ვერ განხორციელდა და რადგან ეხლა საქართველოს რესპუბლიკას არ ძალუძს ასეთი სესხის გაცემა, ამ საქმის გამომრკვევმა კომისიამ გამოითხოვა მხოლოდ 5 მილიონი, რაც საბჭომ დაადასტურა.

საინტერესო იყო სურსათის საკითხი, მომხსენებელმა დ. პაპავამ აღნიშნა, რომ ქალაქს საშუალება არა აქვს ებრძოლოს კრიზისს. სასურსათო საქმე წინად მინდობილი ჰქონდა ქალაქს, მერე უნდა გადასულიყო განსაკუთრებულ სამინისტროზე, მაგრამ მინისტრები სწრაფად იცვლებოდნენ და საქმე ვერ მოეწყო.

მთელი ერთი თვის განმავლობაში ერთი ფუთი პურიც არ შემოსულა. პირველად თბილისი შენახული პურით იკვებებოდა, მაგრამ მრავლად მომწყდარი ლტოლვილების გამო, რომელთა რიცხვი 40 ათასამდე ავიდა, ესეც მალე გამოილია. თუმცა ქალაქს თითონაც მეტად უჭირდა, მაგრამ ვერც ლტოლვილები დახოცა მშივრებს. ამ რიგად იძულებული ვიყავით სპეკულიანტებისათვის ინიციატივა გაგვეხსნა, რომ ქალაქი უფრო არ დამშეულიყო. ეს იყო მიზეზი რომ ფასებმა პურზე ასე აიწიეს.

ყველაფერი ვცადეთ, რომ პური გვეშოვნა. გავიგეთ ახალციხელ რამდენიმე ხვეწილებს პური თან მოჰქონდათ, მაგრამ რაკი სწრაფად იხევდნენ უკან, პურს ისევ გზაში სტოვებდნენ. გავგზავნეთ კაცები, მაგრამ ოსმალებმა მიგვასწრეს და ჩვენ არაფერი დაგვანებეს. გუშინ აზერბეიჯანში გაიგზავნა კაცი—იქნებ იქ მაინც მოგვყიდონ პური.

ჩვენი სოფლები პურს არა ჰყიდიან თუმცა კი ბევრი აქვთ. რომ სპეკულიანტებს თავი დავაღწიოთ, პურის საქმე უნდა გადავსცეთ კოოპერატივებს და ამისათვის საჭირო იქნება ლიკვიდაცია მოხდეს ქალაქის სასურსათო ღუქნებისა.

გაისმა ხმები, რომ მთავრობა არა სცდილობს აზერბეიჯანთან საქმეების მოგვარებას თორემ პურიც, ნავთიც და მაზუთიც გვექნებოდაო.

იოს. ბარათაშვილი. რამდენადაც ჩვენ ვიცით ნავთი და მაზუთიც ბაქოს ბოლშევიკების ხელშია და არა აზერბეიჯანისა.

ნ. რამიშვილი. ეს ცნობა ცალმხრივია. საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის არავითარი გამწვავება არ არის.

ოსმალები სურსათს აზერბეიჯანიდან სხვაგან არ უშვებენ. ნავთიც აზერბეიჯანში იმაზე მეტი არ არის რაც საქართველოში. პურის მოუტანლობის მიზეზი რუსეთისაკენ უგზობაა.

სურსათის კრიზისი ორი სამი კვირის უკან გაივლის. გერმანიას აქვს მოგროვილი ზედმეტი პური უკრაინაში, რომელსაც ჩვენ მოგვაწვდის.

ხანდამოვი. დამნაშავეა მთავრობა. ქართველ გლეხებს პური ბევრი აქვთ გადამალული, იმათ ფულიც არ უნდათ და გადასახადებსაც არ იძლევიან. სიწყნესაც მუქთად ურიგებენ.

ლანდუროვი. პური მალე გვექნება. როგორც დავალებული მქონდა, შემოვიარე ზოგიერთი რაიონები და გლეხების ყრილობებზე გამოირკვა, რომ ისინი პურს მოგვცემენ თუ ჩვენ მათ მანუფაქტურას მივაწვდით.

პოპოვი. თუ მუშებმა ინტენსიურად იმუშავეს ჩვენ შევძლებთ ზოგიერთი საჭირო საგნების დამზადებას და გლეხების მიწვდას. მაშინ ისინიც პურს მოგვცემენ.

გადაწყდა სასურსათო საქმე გადაეცეს კოოპერატივებს, კონტროლი კი ქალაქის გამგეობას დაეკისრა.

კონიევი. კერძო საელექტრონო სადგურები არ ასრულებენ პირობებს და ქუჩებს არ ანათებენ. არც იხდიან დაწესებულ გადასახადს 1 კილოვატ საათზე 3/4 კაპ.

ხანდამოვი. კერძო საელექტრონო სადგურებს ძლიერ გადასახადი აწევთ. ახალ გადასახადების დაწესება კი მეტად შეავიწროვებს სადგურების პატრონებს. გადაწყდა აირჩიონ კომისია ამის გამოსარკვევად.

გადაიდო 15 ათასი მანეთი საკანალიზაციო მილის შესაკეთებლად ვაგზლის ქუჩაზე. კრება იხურება.

მდგომარეობა სოფლად

ადამიანისათვის გაუგებარი არ არის, თუ რად გაუჩნდება ჩვენი ხალხი—ნასწავლებმა დაგვტოვა. მას დემოკრატიული ცხოვრება სწამს, მაგრამ ინტელიგენციას უკვე აღარ ენდობა. ეს იმით აიხსნება, რომ ეს უკანასკნელნი სულ სხვას დაპირდნენ, ცხოვრებამ სხვა მიაწოდა და ახლა მათი ინტელიგენციასთან შეხვედრა უფრო მეტ ძალას ითხოვს საქართველოს ნორჩ რესპუბლიკისაგან, რადგან დემოკრატიასთან შეუგუებელი ცხოვრება ინტელიგენციისა აგდებს ნიკოლოზის დროინდელ ბიუროკრატიულ ცხოვრებას. ნათლადა სჩანს, რომ სოფელი მოტყუებულად რაცხს თავს, იგი მიტინგებზედ სიამოვნებით შეაწუხა ვინემ ჯარის დემობილიზაცია მოხდებოდა, რის შემდეგ კი ჩვენი სოფელი არაა გაცნობილი საქართველოს სუვერენულ უფლების აღიარებას და აგრეთვე არ გაცნობია მაზედ წინეთ გამოცხადებულ ამიერ კავკასიის ერის ფედერატიულ რესპუბლიკის გამოცხადებას. ამის მიზეზზე ლაპარაკი ზედმეტია რადგან ჩვენი მისწრაფება, რასაც ჩვენ მუდამ ხალხს უჩიჩინებდით, მთელი ქვეყნის შეერთება იყო და არა საქართველოსი მარტო. თითქოს ჩვენ თვით გამოურკვევლად შევედით ჩავრეულდით საქვეყნო ცხოვრების ფერხულში.

არავითარი შემოქმედება სოფლად არ არის, მართალია ჩვენი ზედი ჩვენ-

---

„სტოლონაჩალნიკის" მაგიდას. ლერმონტოვი ღრმა ფსიხოლოგი იყო; განსაკუთრებით კარგად იცნობდა ის რაინდის ფსიხოლოგიას, და ამისათვის რწმენის ღირსია მისი აზრი. „სტოლონაჩალნიკის" მაგიდას. სჭირია არა გენიოსი, არამედ უბრალო მწერალი, უბრალო ადამიანი, თავისი საქმის კარგი მცოდნე. თუ გენიოსი „სტოლონაჩალნიკად" ვერ გამოდგება, მით უმეტესად ვერ გამოდგება აქ ცრუ-გენიოსი, რომელიც თავის თავს გენიოსად სთვლის და გენიოსის უნარი კი სრულებით აკლია. ასეთი ადამიანი ყოველად უვარგის მასალას წარმოადგენს. ის ცხოვრების მეტ-ხორცია და სადა ცხოვრებაც მას უსათუოდ გარიყავს თავის წიაღიდან: საქმის გაკეთება მას აღარ შეუძლია და სიტყვების რახა-რუხით მთელი კაცობრიობის კეთილდღეობაზე ხომ ვერ გაივლება ცხოვრების ფონი. ცხოვრება თხოულობს ფაქტს და არა ფრაზას.

ყველა ეს რაც ითქვა ზევით დედა აზრია მარქსის მსოფლმხედველობისა, იმ მსოფლმხედველობისა, რომელმაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა უტოპია. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი ინტელიგენცია, რომელსაც პირზე მარქსის სახელი ეკერა მუდამ, თავისი ყოფაქცევით ვერ ამართლებდა მისგან მოძღვრად მიჩნეულ ადამიანის აზრს. ყველა ეს შედეგი იყო, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ცხოვრების უბედურების ძირითად მიზეზისა: საქართველოს დამონავებისა, საქართველოს დაბეჩავებისა გარეშე ძალის მიერ.

დღეს ჩვენი ერი განთავისუფლდა, მას მიეცა საშუალება თვითმოქმედებისა; მის შვილებს გადეხსნა მასთან ერთად ფართე გზა თავისი პიროვნების განვითარებისა. სინამდვილესთან დაახლოვება და მის წიაღში მოქმედება ამის ერთად ერთი გზაა ამ მიზნის მიღწევა.

დაახლოვება სინამდვილესთან მოითხოვს ჩვენი საზოგადოებისაგან შრომის დანაწილებას: უსაზღვრო სინამდვილეს ვერ გაწვდება განსაზღვრული ძალა ერთი ადამიანისა. ამისათვის ყოველივე ჩვენგანი თავისი ნიჭის მიხედვით, ვალდებულია დაადგეს სამუშაოდ ერთ განსაზღვრულ საქმეს. „რაინდული განუსაზღვრელობიდან ნამდვილი მუშაკის გარკვეულ მოღვაწეობისაკენ—აი დევიზი თანამედროვე საქართველოსი. „რაინდობის" ხანამ განვლო, იწყება ხანა თანდათანი შემოქმედებისა. ამ შემოქმედების პროცესში ძველი „რაინდნი" ვერ გამოგვადგებიან, გვჭირია ახალი ძალა, თავმდაბალი, მაგრამ ცოდნით აღჭურვილი, მხნე და გამრჯე. ვისაც ეს ჭეშმარიტება ვერ შეუგნია, ვინც შემთხვევით, როგორც ბინძური ქაფი, ზევით მოექცა რევოლუციის მიერ აღელვებულ ცხოვრებას, იძულებულია დასთმოს თავისი ადგილი: ან სრულიად გაჰქრეს ან და ქვეშ მოექცეს ცხოვრების ლექნას და დაიკავოს სწორედ ის ადგილი, რომლისაც ღირსია თავისი ინტელექტუალური და მორალური თვისებების მიხედვით, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს ასეც მოხდება: საქართველოს ეროვნული ცხოვრების ზედაპირი მალე გაიწმინდება შემთხვევითი ელემენტებისაგან, რომელიც დღემდე ჰფარავდენ მას და აბრკოლებდენ ქართველი ერის სიღრმის შეგნებას.

ხ. დარიანი.

ივერიელი

ეგ უნდა გამოვტყდეთ, მაგრამ ეს თუ შეცდომით არ მოხდა შეუწყნარებელია. ჩვენ ქართველობა ძალიან მოუმზადებელი აღმოვჩნდით რუსეთის სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის დროს მოუმზადებლობივე ყოფნით, თუ ასე ითქმის, კულტურულ ევროპის სახელმწიფოებისაკენ. საზოგადოებრივი სიმდიდრე ჩვენ თუ აქამდე შენარჩუნებული გვაქვს—ამას ხელს უწყობდა განვლილი კარ ჩაკეტილი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა ახლა კი ეს კარი იღება და სარბიელი ოქროს ეთმობა რომლის მქონე ადვილად გამოგვფხრავს. ბრძოლაა საჭირო შევინარჩუნოთ სიმდიდრით სავსე მთები სადაც საუკუნოებით აღზრდილან უამრავი სხვა და სხვა ჯურის ხეები, რომ იგი და მათ ქვეშ ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცული სიმდიდრე ჩალის ფასად არ გაიზიდოს და ჩვენვე შევეხოთ საწარმოებლად, რომ ის დღე არ დავაყენოთ, რაც ჩვენი შავი ქვის სიმდიდრემ განიცადა რომლის წარმოებაში უორგანიზაციობა ჰქმნიდა და ჰქმნის მისი ფასების აწევ-დაწევას და რომლის ფასი 5 პროც. მეტი ღირებულია აქვე არსებულ ფასებზედ.

ასეთია ჩვენი სოფლის ვითარება. ამ მდგომარეობაში მყოფი გლეხი ეკონომიური საკითხებით, სადაც-რა შევიწროებულ მდგომარეობის წინ—სოციალური საკითხების აღარა ესმის-რა და ისეთ ნაბიჯებს აკეთებს, რომ ცხრა ბოქლომი დაადვა შენ ცხოვრებას იყოლიო მრავალი უენო თუ მეტყველი ყარაული ვერაფერი ვერ გიშველის გე ქრება სალაროში და გართმევს რის წართმევაც შეიძლება.

აქნობამდე ასე იყო ახლა კი შეთანხმება პოლიციურადაც შეიძლება თუ კი ცხოვრებისათვის საზრუნავი ხალხს ცოტა შეუმსუბუქდება. იგი ოქროსაც უარს ეტყვის—ამას კი ის ქვაბი მოგვცემს, სადაც იხარშება წადებული ნედლი მასალა და აგრეთვე იმ ტეხნიკური იარაღების მოახლოვება და გამრავლება, რომელნიც ჩვენ ბუნებით სავსე ქვეყანაში მეტ სარგებლობას მოგვცემს. თუ რამეს ვშოვობთ დღეს უცხო ტომის ნაწარმოებია ჩვენ კი არ გვაქვს ქურა-ქარხანა, რომ ფართოდ ბაზარს ჩვენი ნაწარმოები მისწვდეს, რის შეძლებაც აქვს ქართველ ხალხს და უნარიც შესწევს გვიქნეს. თუ ყველა გარედან შემოსაზიდ საქონელს ადგილობრივ შევიძენთ ჩვენი ლუკმა ჩვენ ჯამში მოვარდება ერის სიმდიდრეც დაგროვდება და უცხო კაპიტალი ვეღარ გამოგვფხრავს.

ვალ. ქავთარაძე

თეატრი და ხელოვნება

მუსიკალური ექსკურსია.

თქმა არ უნდა, ჩვენ მთავრობას იმდენი უსაჭიროესი საქმე აქვს, რომ ჯერ მუსიკისათვის და საზოგადოდ, ხელოვნებისთვის ვერ მოიცლის. მხოლოდ ეხლაც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ რესპუბლიკის აპარატი დაუბრკოლებლივ უნდა მუშაობდეს ყოველგვარ პირობებში. არც ერთი ჭახრაკი არ მოეშვება, რადგან ამით ირღვევა აპარატის მექანიზმი ეს არის ცხოვრების ძარღვი და ამისათვის ჩვენც მოვაგონებთ სწავლა-განათლების მინისტრს, რომლის გამგეობაშიაც მუსიკალური სასწავლებელი შედის. უპირველესად, საჭიროა დაარსდეს მუსიკოსთა წრე, რომელმაც უნდა შეიმუშაოს თავის დარგის მომავალი ბედ-იღბალი. გამოარკვიოს საქმის ვითარება.

— კონსერვატორიამ შეიმუშავა თავის პირობა: პროფესორთა კოლეგიის ერთხმად ნიჭიერად ცნობილი, სასურველი და ამორჩეული დირექტორად ნ. დ. ნიკოლაევი, იმავე კოლეგიამ უცბად გადააყენა ნ. თავის თანამდებობიდან და უნდობლობა გამოუცხადა მას. რა მოხდა რამდენიმე თვის განმავლობაში? რა მიზეზმა გამოიწვია ასეთი მკაცრი მოქმედება პროფესორების მხრივ ნიკოლაევის წინააღმდეგ. ფუტკარსავით აშუშადა კონსერვატორია.—იწვევს ახალ დირექტორს, აწყობს საქმეს, ფუსფუსებს. ეხლა ვიკითხოთ: ვინ არის ეს? რა უნდა და რა მიზანი აქვს მას?

— ქართული ფილარმონიული საზოგადოება შეუდგა თავის რეორგანიზაციას: 1) სწავლა-განათლება უნდა იყოს ქართულ ენაზედ, 2)—შეაგროვოს, შეიმუშაოს, შეისწავლოს და გაავრცელოს ქართული—ეროვნული მუსიკა, 3) ფართო ვითარება მისცეს ეროვნულ ხელოვნებას.

— ქართველ მხედართა კავშირმა დაარსა ეროვნული ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდი, რომ ჩვენ საზოგადოებას გააცნოს ეროვნული მუსიკა, მეორეს მხრივ—მისცეს ჩვენ მუსიკოსებს ღონისძიება შექმნან მუსიკალური თხზულება.

მომღერალთა გუნდი არის დედაბოძი ჩვენი მუსიკის ვითარებისათ.

— დაარსდა „ქართველ მომღერალთა საზოგადოება“, რომელმაც განიძრახა მუსიკალური პიონერობა ჩვენი ერის სადღეგრძელოდ. საუბედუროდ, ამ მუსიკალურ საზოგადოებაში მხოლოდ არა მუსიკოსები განაგებენ საქმეს და სამსახურის მაგიერ მხოლოდ მუსიკალურ უვიცობას და ანარქიას ამყარებენ.

— ქ. ფოცხვერაშვილი თავის პროექტებით მინისტრების კაბინეტებს არ შორდება და ჰიმნ-აკადემიას აფართოებს.

— ილიკო ქურხული აარსებს უმაღლეს მოხეტიალე-დამკვრელთა კონსერვატორიას.

— მ. კავსაძეს მომღერალთა გუნდი ემსახურება სამ ხმოვან სიმღერებს.

— მ. ბალანჩივაძეს უბეში დაქვს „დებულება“ ქ.ქ. ქუთაისის და თბილისის საფილარმონიო საზოგადოებისა.

— დ. არაყიშვილი სამშობლოში მოვიდა საქმის გასაკეთებლად, რომ ვერაფერი გამოვიდა ხელი დაიქნია და ისევ რუსეთში ბრუნდება.

— ნ. სულხანიშვილი ქ. თელავს ანაცვალებს ქვეყნიერების კულტურას.

— ილ. აბაშიძე სხვა და სხვა მუსიკალურ ორგანიზაციებზე დარბის.

— ზ. ფალიაშვილი დიდის აღელვებით ეკიდება მუსიკალურ საქმეებს.

— ზ. ჩხიკვაძე უსაყვედურებს საზოგადოებას მუსიკალურ მოუმზადებლობაში.

— საეკლესიო გუნდების საქმეც აწეწილ-დაწეწილია.

— ვისაც შეუძლიან და არ შეუძლიან სწერს მუსიკალურ რეცენზიას და თავისებურად ამახინჯებს ხელოვნებას.

— ყველა ერთი—ერთმანეთს უმალავს. ჩუმად მუშაობს და თავის საქმეს აწყობს.

— აი, სწორედ ამისათვის, საერთო საქმის სასარგებლოდ უნდა მოხდეს მუსიკოსების მობილიზაცია, აირჩეს ამათ შორის კომისია, მოაწესრიგოს ყველაფერი, შეიმუშაოს და წარუდგინოს მთავრობას დასამტკიცებლად. ამას მოითხოვს თვით ცხოვრება.

დუდუკი.

პარასკევს, 5 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საქართ. ერ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის 2-ე რაიონის

მც. წევრთა საზოგადო კრება

ვ. შალიბაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა და მისი მისწრაფება საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან დღევანდლამდის“. 3—1

გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო და გამგეობა

ამით აუწყებს, რომ კვირას 14 ივლის 1918 წ., დილის 11 საათზედ ქალაქის საზაფხულო საკრებულო დარბაზში არის დანიშნული საზოგადოების მორიგი

წლიური კრება

უკეთუ კანონიერი წევრთა რიცხვი არ შეიკრიბა, მეორე კრება მოხდება 28 ივლისს, რაოდენი რიცხვიც უნდა დაესწროს. განსახილველი საგნები: 1. საბჭოს და გამგეობის მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ. 2. განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ანგარიშისა. 3. განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა. 4. არჩევნები საბჭოს ორი წევრისა, ნაცვლად ნ. ა. თუმანიშვილისა და ნ. გ. სოლოღაშვილისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ. 5. არჩევანი გამგეობის ერთი წევრისა ნაცვლად გ. თ. კაპანაძისა, რომელთაც ვადა გაუთავდა. 6. არჩევნები სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა 1918 წ. ანგარიშის შესამოწმებლად და სხვა საკითხები, რომელნიც პირდაპირ შეეხებიან დღიურს წეს-რიგს. 3—972—2

მოითხოვეთ სამკურნალო

ბორჯომის წყალი

ერთად ერთი წარმომადგენელი მიწათ-მოქმედების სამინისტროსი, ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ (პარტიობით) მყიდველებს, რომ ფას-დადებით და ნისიად წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივი მიწოდება უზრუნველყოფილია. მისამართი: ბორჯომს კანტორა „ბორჯომექსპორტი“. 10—973—3

განცხადება

ბორჯომის მამულის მიმღები კომისია

ამით აცხადებს, რომ ბორჯომის მამულის შუშის ქარხანაში 7 ივნისიდან განახლდა მუშაობა, სადაც ამზადებენ „კონიაკის“, „ვერმუტის“ და „კვარტის“ ბოთლებს, ფეხსაცმელის მაზის და სხვა და სხვა ზომის აფთიაქის შუშებს; ახლო მომავალში დაიწყება ამზადება ლამპის შუშებისა და ჭიქებისა. ამჟამად ქარხნის საწყობებში გასასყიდათ დამზადებულია შემდეგი ბოთლები:

„შამპანიურის“ ბოთლები 1/6	78240	ცალი.
„ბორდო“ „ 1/20	58664	„
„კვარტა“ „ 1/10	23408	„
ბოთლები 1/4 ვედროსი	12155	„
ბანკები 12 გირვანქის	713	„
„ 15 „	1007	„
„ 20 „	448	„

ბორჯომის მამულის სახერხავ ქარხნებში

(ბორჯომში და ხუმბათოვში) გასასყიდათ დამზადებულია შემდეგი სამშენებლო მასალები:

ფიცრები 4 საჟ., 3 საჟ. და 2 საჟ.	10130	ცალი
კოჭები 4 საჟ., 3 საჟ., და 2 საჟ.	1725	„
ხიდის კოჭები 2,5 საჟ. და 1,5 საჟ.	160	„
რეიკები 4 საჟ. და 3 საჟ.	4000	„
შპალები ვიწრო ლიანდაგის 0,95	12200	„
„ბოგდადკი“ კედლების შტუკატურკისათვის 2 ადლაბი 12გოჯი	35000	„
„შტოკატები“ 2 ადლი 2 ნახევარი გოჯი.	7800	„

ყოველნაირი ცნობების მისაღებათ მყიდველებმა უნდა მიმართონ ბორჯომის მამულის მიმღებ კომისიას ქ. ბორჯომში.

ბორჯომის მამულის მიმღებ კომისია. (4—1672—2)

ქართველ ვაჭარ-მრეწველთა

კავშირი

გადავიდა ახალ ბინაზე: საქართვ. ეროვნულ საბჭოს შენობაში, ფრეილინის ქ. № 11. ტელეფონი 9—18. კანცელარია ღიაა 10—1 საათამდე. (2—1678—4)

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტერტერაშვილის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

კვირას, 30 ივნისს, დანიშნულია ახალი საკრებულოს წევრთა და კანდიდატთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველია საგნები: 1917 წლის ანგარიშის განხილვა. მ. მამასახლისთა საბჭოს მოხსენება თავის მოქმედების შესახებ. მამასახლისთა საბჭოს, სარევიზიო კომისიის, წევრთა და კანდიდატებთა არჩევნები და სხვ. 2—1

თბილისის ქართული საფილარმონიო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 26 თიბათვეს, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია არაჩვეულებრივი საგანგებო საზოგადო კრება, რომელზედაც კრებას მოხსენდება ყველა საფილარმონიო საზოგადოების სამუსიკო სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ. კრება დანიშნულია სკოლის ბინაზედ სოლოლაკის ქუჩა. (3—965—2)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

ქალაქ თბილისის

ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად შემდეგნაირად:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკედან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა ნაწილის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე.

თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ვთხოვთ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აკრძალულია.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე

მედიცინის დოქტორი მიუნხენის, უნივერსიტეტისა

ნ. დ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, სამეანო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლაევის ქუჩა № 7, სიხარულიძის აფთიაქის გვერდზე. 2 თვ.—1658.

ექიმი

მ. ი. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპიით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევს 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

გეგელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისთვის და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიკოს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველდღიურ ავადმყოფთათვის ექიმ ბ. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარბეტიანცის

საავადმყოფოში იხსნება კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („[illegible]“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი [illegible] ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-მდე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

დარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

იყიდება

სახლი

12 ოთახიანი საზაფხულოთი, ერთ ქუჩაზე გადის. სახლი აშენებულია მაღლობ ადგილზე და ატარაკის ძეგიერობას გასწვრივ. ავლაბარი, მარტყოფის ქ. № 22. 2—1676—2

გაიხსნა

თვალის სავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინოსა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინომატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა

მიხეილ ანთიმოზის ძე

გალანდარიშვილი

[illegible] ვენის თბ. კლინიკების კლინიკისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

თიბათვეს და მკათათვეში იღებს ავადმყოფთ ქ. გორში 6—7 საათამდე, დეკანოზ ი. კაპანაძის ბინაზე

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—44

სტამბა „ცხოვრება“ კოოპერატიული გამომცემელ-ამხანაგობისა № 4.